

მომხმარებელთა უფლებების დაცვა ხელშეკრულების თავისუფლების  
ჭრილში

თაია არაბული

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გლაზოვი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

*როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

თავი არაბული

05.02.2019

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია მომხმარებელთა დაცვის სამართლის ბუნება და მისი გავლენა ხელშეკულების თავისუფლებაზე. აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, ნაშრომში განხილულია: ერთი მხრივ, კერძო სამართლის თავისუფალი ბუნებისა და მეორე მხრივ, მომხმარებელთა უფლებების თანამედროვე გამოწვევები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები. ნაშრომში ასახულია როგორც საქართველოს, ასევე მომხმარებელთა დაცვის სამართლის საერთაშორისო პრაქტიკა.

კვლევა შეეხება: ხელშეკულების თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობის განსაზღვრასა და მის ისტორიულ საფუძვლებს; მომხმარებელთა დაცვის სამართლის ისეთ ელემენტების შესწავლას, როგორც არის ხელშეკრულების „სუსტი“ და „ძლიერი“ მხარის დადგენა; მომხმარებლის სტატუსის განსაზღვრასა და მის ძირითად მახასიათებლებს.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს მომხმარებელთა დაცვის სამართლის ძირითადი პრობლემური საკითხების შესწავლას, და ამ მხრივ საქართველოს სამართლებრივი გამოცდილების საკითხებს. კვლევის მთავარი მიზანია, მომხმარებელთა უფლებების დაცვისას, ხელშეკრულების თავისუფლების ბოჭვის ფარგლების დადგენა. რამდენად შეიძლება სახელმწიფოს მიერ შეიზღუდოს ან მოხდეს ჩარევა კერძო (ბიზნეს) სექტორში. ნაშრომში შეფასებულია მომხმარებლის, როგორც სუსტი მხარის სამართლებრივი დაცვის გარანტიების არსებობის საჭიროება და განსაზღვრულია საქართველოს საკანონმდებლო გამოწვევები, მომხმარებელთა სამართლის სფეროში.

## **Abstract**

The aim of this research is the nature of consumer protection legislation and its impact on the freedom of contract. For the purpose of this study, the paper discusses on the one hand, the free nature of private law and on the other hand, modern challenges of consumer rights and related legal issues. The Thesis includes national and international consumer protection legislation and practices.

The study concerns the importance of the principle of freedom of contract and its historical bases; Study of the elements of consumer protection law, such as determination of the “weak” and “strong” parties in contract. Define the status of the user and its main characteristics.

This work includes the study about law enforcement issues, in this respect Georgia's experience and challenges. The main aim of the research is to determine the limitations of the freedom of the contract, How much can the governments interfere and impose restrictions on private sector, while protecting consumers rights.